



კავკასიის კვლევითი
რესურსების ცენტრი

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოების პერსპექტივები

საბაზისო კვლევის ანგარიში

მარიამ კობალაძე 599-40-74-03

mariam.kobaladze@crrcenters.org

დიმიტრი გუგუნავა 577-11-26-50

gugunavadimitri@gmail.com

მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე კვლევა მოამზადა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა (CRRG-საქართველო) პროექტისთვის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG), რომელსაც ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) და დაფინანსებულია USAID-ის მიერ. კვლევა ჩატარდა 2017 წლის იანვრიდან აპრილამდე პერიოდში სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურთან თანამშრომლობით და მისი მიზანია, სამსახურმა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მანდატის გაფართოების კუთხით.

უფრო კონკრეტულად, კვლევა მიზნად ისახავს იმის შეფასებას, თუ რა მიმართულებით ხედავენ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები, კერძოდ, მოსამართლეები, იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლები და იურიდიული დახმარების გამწევი არასამთავრობო ორგანიზაციები, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოებას სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე.

კვლევის დიზაინი მოიცავს კვლევის რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს - სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მომუშავე მოსამართლეთა თვითადმინისტრირებადი გამოკითხვა, იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლების ონლაინ გამოკითხვა, უფასო იურიდიული დახმარების გამწევი არასამთავრობო ორგანიზაციების ონლაინ გამოკითხვა; ფოკუს ჯგუფები მოსამართლეებთან, იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროს უფროსებთან და კონსულტანტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. კვლევა იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების მოსაზრებებს იკვლევს შემდეგი საკითხების შესაფასებლად: რა ფარგლებში უნდა გაფართოვდეს სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის (შემდგომში ასევე „სამსახური“, „იურიდიული დახმარების სამსახური“) მანდატი სოციალურად დაუცველი პირებისთვის სახელმწიფოს ხარჯზე სასამართლოში წარმომადგენლობის კუთხით (შემდგომში ასევე „უფასო საადვოკატო მომსახურება“) (1), რა ფარგლებში უნდა გაფართოვდეს იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი იმ პირთათვის სასამართლოში წარმომადგენლობის კუთხით, ვისაც არ აქვს სოციალურად დაუცველის სტატუსი, მაგრამ იმავდროულად არ აქვს დამოუკიდებლად კერძო საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების შესაძლებლობა (2) და რა არის ის პრობლემური საკითხები როგორც საკანონმდებლო ნაწილში, ასევე პრაქტიკაში, რაც უფასო იურიდიული დახმარების გაწევის მხრივ შესაძლებელია, გამოსწორდეს კაზუსური და, ზოგიერთ შემთხვევაში, აბსურდული შემთხვევების გამოსარიცხად (3).

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ კვლევაში მონაწილე იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების (მოსამართლეები, იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლები და იურიდიული დახმარების გამწევი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები) უმრავლესობა საჭიროდ მიიჩნევს იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოებას სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე.

სამოქალაქო საქმეებიდან კვლევის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე პრიორიტეტული თემა, როგორცაა: სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე დავები, სამისდღეშიო გადახდასთან დაკავშირებული დავები, სანივთო ანუ ქონებრივი დავები, რომლებიც უძრავ ქონებასთანაა დაკავშირებული, სამეზობლო, შრომითი დავები, დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონიდან გამომდინარე დავები, შშმ პირების დავები, სადაც ისინი სპეციალურ, მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებებს იცავენ და სხვა.

ადმინისტრაციული საქმეებიდან კვლევის შედეგად მანდატის გაფართოების საჭიროება დგას შემდეგი ტიპის დავებზე: უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დავები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან გამომდინარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეები, სადაც სახდელი პატიმრობას არ ითვალისწინებს, დისკრიმინაციის შესახებ კანონიდან გამომდინარე ადმინისტრაციული დავები, სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული დავები და სტიქიით მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციასთან დაკავშირებული დავები.

კვლევის მონაწილე იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები თვლიან, რომ სოციალურად დაუცველთა სტატუსის მქონე ოჯახის წევრებთან ერთად იურიდიული დახმარება საჭიროა გადახდისუუნარო, მაგრამ სოციალურად დაუცველის სტატუსის არმქონე პირებისთვის. განსაკუთრებით, იმ შემთხვევებში, როცა ეს პირები პატიმრები ან ყოფილი პატიმრები არიან და არ ჰყავთ ოჯახები და საგამონაკლისო წესით ვერ სარგებლობენ. ასევე, გადახდისუუნარო პირები შრომით დავებში, ოჯახში ძალადობის საქმეებში, სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა კომპენსაციასთან დაკავშირებულ დავებში და დისკრიმინაციის შესახებ კანონიდან გამომდინარე დავებში.

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები ხედავენ რიგი საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროებას. მათთვის და განსაკუთრებით მოსამართლეთათვის მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლში, მეორე ნაწილში გაუქმდეს მითითება „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონზე და მოსამართლეს ჰქონდეს შესაძლებლობა, წინასწარ დადგენილი შეზღუდვების გარეშე, საქმის სპეციფიკიდან და პიროვნებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად დაადგინოს პირის გადახდისუუნარობის საკითხი და განჩინებით დაუნიშნოს პირს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. კვლევაში მონაწილე იურიდიული პროფესიის ყველა წარმომადგენელი თვლის, რომ გადასახედია პირისთვის სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის სტატუსის წევრის კრიტერიუმები და პროცედურა. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ იურიდიული დახმარების საბჭოს გადაწყვეტილებაში მითითებული საგამონაკლისო წესები გადავიდეს კანონში, როგორც ეს პრაქტიკაში ხორციელდება. კვლევის მონაწილენი, განსაკუთრებით არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები თვლიან, რომ იურიდიული დახმარების საბჭოს გადაწყვეტილებას უნდა დაემატოს საქმის პერსპექტიულობის კრიტერიუმი არა მხოლოდ

საქმის წარმატების ალბათობის შესაბამისად, არამედ ნათელი სასამართლო პრაქტიკის დასაწერად.

სარჩევი

მოკლე მიმოხილვა	2
შესავალი	5
დოკუმენტის სტრუქტურა.....	6
ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციისა და საკვლევი საკითხის შესახებ.....	7
იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი	8
1. იურიდიული დახმარება სოციალურად დაუცველთათვის	12
2. იურიდიული დახმარება გადახდისუუნარო პირთათვის, ვისაც სოციალურად დაუცველი პირის სტატუსი არ აქვს.....	20
3. კვლევის პროცესში გამოვლენილი საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროებები და სხვა საკითხები	23
დასკვნა.....	26
რეკომენდაციები	30
დანართები	32
დანართი 1 - მეთოდოლოგია.....	32
დანართი 2 - გამოკითხვის სიხშირის ცხრილები	35
<i>სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მომუშავე მოსამართლეების თვითადმინისტრირებადი გამოკითხვა.....</i>	<i>35</i>
<i>იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლების ონლაინ გამოკითხვა</i>	<i>38</i>
<i>არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ონლაინ გამოკითხვა.....</i>	<i>43</i>

შესავალი

2017 წლის იანვრიდან 2017 წლის აპრილამდე პერიოდში CRRC-საქართველომ ჩატარა კვლევა პროგრამისთვის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)“, რომელიც დაფინანსებულია USAID-ის მიერ და რომელსაც ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI). წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების, კერძოდ, მოსამართლეების, იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებისა და იურიდიული დახმარების გამწევი არასამთავრობო ორგანიზაციების ხედვის შეფასებას სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოებასთან დაკავშირებით სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე. კვლევა ხელს შეუწყობს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს, სწორად განსაზღვროს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის ის საკითხები, რომლებზეც უნდა გაფართოვდეს სამსახურის მანდატი - უზრუნველყოს უფასო საადვოკატო მომსახურება სახელმწიფოს ხარჯზე 2018 წლის 1 იანვრიდან.

სოციალურად დაუცველი პირებისთვის ყველაზე პრობლემური სფეროების მაქსიმალურად სწორად იდენტიფიცირებისა და შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების სწორად განსაზღვრისთვის გაანალიზდა:

- საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის სტატისტიკური მონაცემები იმ საქმეების შესახებ, რომლებიც „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის 23¹ მუხლში ჩამოთვლილი საკითხების მიღმა დარჩენილი.

ჩატარდა კვლევა, რომელიც მოიცავდა რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა:

- ონლაინ გამოკითხვა იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტებსა და ადვოკატებს (სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია) შორის. საერთო ჯამში, მივიღეთ 60 შევსებული კითხვარი იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტებისა და ადვოკატების მხრიდან. მათ აქვთ პირველადი შეხება სოციალურად დაუცველებთან. ისინი მათთვის ადგენენ როგორც სასამართლოში, ასევე ადმინისტრაციულ ორგანოებში წარსადგენ სამართლებრივ დოკუმენტებს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებზე. ასევე, წარმოადგენენ სასამართლოში.
- ონლაინ გამოკითხვა იურიდიული დახმარების გამწევი არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებს შორის, ვინც უფასო იურიდიული დახმარებას უწევს მოქალაქეებს. 10 შევსებული კითხვარი არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების მხრიდან.¹

¹ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ შევსებული კითხვარების სიმცირის გამო, ამ ონლაინ გამოკითხვის მონაცემები მხოლოდ ნაწილობრივია ასახული ანგარიშში.

- სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მომუშავე მოსამართლეების თვითადმინისტრირებადი გამოკითხვა, სულ 34 შევსებული კითხვარი.

კვლევის თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში, თებერვალში ჩატარდა ფოკუს ჯგუფები:

- მოსამართლეებთან (3 ჯგუფი),
- იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროების უფროსებთან (1 ჯგუფი), ვინც გადაწყვეტილებებს იღებს ადვოკატის დანიშვნასთან დაკავშირებით (საქმის სირთულიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე),
- იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტებთან (1 ჯგუფი) და
- უფასო იურიდიული დახმარების გამწევი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან (1 ჯგუფი).

ფოკუს ჯგუფებში დისკუსია აქტიური იყო და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებმა სხვადასხვა ჭრილში მოახდინეს იმ ჯგუფების იდენტიფიკაცია, ვისაც, მათი აზრით, ყველაზე მეტად სჭირდებათ უფასო საადვოკატო მომსახურება და ასევე დავების ის ტიპები, სადაც ასეთი საჭიროება მათი პრაქტიკიდან გამომდინარე ყველაზე ხშირად დგება. მოცემული ანგარიში ძირითადად ფოკუს ჯგუფებში გამოთქმულ მოსაზრებებს ეხება.²

იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოვება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე იურიდიული პროფესიის ყველა გამოკითხული ჯგუფის მიერ საჭიროდ დაფიქსირდა. იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობა (იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლების 93% და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების 70%) ასახელებს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მანდატის გაფართოვების საჭიროებას ისევე, როგორც მოსამართლეთა აბსოლუტური უმრავლესობა (97%). იურიდიული პროფესიის ეს წარმომადგენლები ფოკუს ჯგუფებშიც ადასტურებენ ამ მიმართულებით ცვლილებების საჭიროებას გადახდისუუნაროთა საჭიროებების უკეთ დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათი მოსაზრებები, თუ რა საკითხებზე/ჯგუფებზე უნდა მოხდეს გაფართოება.

დოკუმენტის სტრუქტურა

წინამდებარე ანგარიშის სტრუქტურა მიჰყვება სამ მთავარ თემას და აანალიზებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგებს სამ შესაბამის თავში.

² იმის გამო, რომ რაოდენობრივი გამოკითხვები თვითადმინისტრირებადი იყო, წარმოიშვა სირთულეები ღია კითხვებთან დაკავშირებით. რესპონდენტების დიდმა ნაწილმა ცარიელი დატოვა ან არასრულად შეავსო ღია კითხვები. შესაბამისად, მონაცემების მხოლოდ ნაწილის გამოყენება მოხდა.

პირველი თავის მიზანია იმის ჩვენება, თუ როგორ აფასებენ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოების საკითხს უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევის კუთხით იმ პირთა მიმართ, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული იმ ოჯახის წევრები, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარზე ნაკლებია. ამ თავში ცალ-ცალკეა განხილული სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეები.

მეორე თავში განხილულია იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების მოსაზრებები იმ პირთა მიმართ უფასო იურიდიულ დახმარებაზე, რომლებიც არ არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული იმ ოჯახის წევრები, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარზე ნაკლებია.

მესამე თავში იდენტიფიცირებულია ის საკანონმდებლო და პრაქტიკული პრობლემები, რომლებიც მანდატის გაფართოების საკითხთან დაკავშირებით გამოვლინდა კვლევის პროცესში.

ამ დოკუმენტს თან ახლავს ორი დანართი: მეთოდოლოგია (დანართი 1), რაოდენობრივი კვლევის სიხშირის ცხრილები (დანართი 2).

ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციისა და საკვლევო საკითხის შესახებ

იურიდიული დახმარების სამსახური არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და უზრუნველყოფს უფასო სამართლებრივ დახმარებას სოციალურად დაუცველი, გადახდისუნარო მოქალაქეებისათვის. სამსახური 2007 წლის ივლისში შეიქმნა და იურიდიული დახმარების ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიას მოიცავს.

უფასო იურიდიული დახმარება გულისხმობს ისეთ მომსახურებას, როგორცაა:

- უფასო იურიდიული კონსულტაცია ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე;
- სამართლებრივი დოკუმენტაციის (განცხადება, შუამდგომლობა და სხვ.) შედგენა;
- საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურება სისხლის სამართლის პროცესში, ასევე გარკვეული კატეგორიის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე.

იურიდიული დახმარების სამსახური უფასო მომსახურებას უზრუნველყოფს ბიუროების, საკონსულტაციო ცენტრების და მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის მეშვეობით.

იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი

2014 წელს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსსა და „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად 2015 წლიდან სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უფასო საადვოკატო მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელი გახდა კანონით დადგენილი პირობებით, კერძოდ:

- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლი ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა და მისი მე-2 ნაწილით მკაფიოდ განისაზღვრა მოსამართლის უფლებამოსილება, თუ როგორ უნდა მოხდეს გადახდისუუნარო პირისათვის სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის დანიშვნა.
- „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონში გაჩნდა 23¹ მუხლი - ამოქმედდა იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის დროებითი წესები და განისაზღვრა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის ის საკითხები, რომლებზეც სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს მიენიჭა გადახდისუუნარო პირებისთვის ადვოკატის დანიშვნის უფლებამოსილება.

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით გადახდისუუნარო პირი, რომელიც არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული იმ ოჯახის წევრი, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარზე ნაკლებია. აღნიშნული ზღვარი დადგენილია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ივნისის №424 დადგენილებით, რომლის მიხედვითაც პირი გადახდისუუნაროდ ითვლება და სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება ენიჭება, თუ იგი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70,000-ზე ან მიეკუთვნება ამავე დადგენილებით განსაზღვრულ რომელიმე კატეგორიას³ და იმავდროულად ქულების რაოდენობა ტოლია ან ნაკლებია 100,000-ზე.

³ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ივნისის დადგენილება №424, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი:

- ა) იმ მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰყავს 3 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი;
- ბ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი;
- გ) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი;
- დ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სრულწლოვანი პირი;
- ე) მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი, თუ შესაძლებლობის შეზღუდვა მიმდინარეობს ბავშვობიდან;
- ვ) 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვი;

გადახდისუუნარო პირს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეზე შეიძლება დაენიშნოს როგორც იურიდიული დახმარების სამსახურის, ისე სასამართლოს გადაწყვეტილებით. ორივე შემთხვევაში გადაწყვეტილება (სამოქალაქო/ადმინისტრაციულ საქმეზე გადახდისუუნარო პირისათვის ადვოკატის დანიშვნის შესახებ) უნდა ეფუძნებოდეს ერთდროულად შემდეგ კრიტერიუმებს: პირი უნდა იყოს გადახდისუუნარო, ხოლო საქმე – რთული და მნიშვნელოვანი.

„იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის 23¹ მუხლის მიხედვით გადახდისუუნარო პირისთვის სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნაწილში იურიდიული დახმარება (სასამართლოში წარმომადგენლობა), საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2015 წლის 15 აპრილიდან 2018 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოფილია იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმე ეხება:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე და მეექვსე წიგნებიდან,
- „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონიდან,
- „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონიდან,
- „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან,
- „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონიდან,
- „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონიდან,
- „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან,
- „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან,
- „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან,
- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან,

აგრეთვე აღნიშნული კანონების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან გამომდინარე საკითხებს.

„იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის 23¹ მუხლის გარდა, 2015 წლიდან, უფასო საადვოკატო მომსახურება სხვა მიმართულებებითაც გაფართოვდა. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა გაითვალისწინა ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირთა

ზ) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი.

სავალდებულო დაცვა იმ საქმეებზე, როდესაც სასამართლო განიხილავს პირის „მხარდაჭერის მიმღებად“ ცნობის საკითხს⁴. ამ შემთხვევებში, სავალდებულო დაცვას ახორციელებენ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები.

გარდა ამისა, 2016 წლიდან იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ უზრუნველყოფილია უფასო იურიდიული დახმარება (სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა და სასამართლოში წარმომადგენლობა - საადვოკატო მომსახურება) თავშესაფრის იმ მაძიებლებისთვის, აგრეთვე იმ საერთაშორისო დაცვის მქონე პირთათვის, რომელთა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული დავაც უნდა განიხილოს სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII⁶ თავით⁵ გათვალისწინებულ საქმესთან დაკავშირებით, მიუხედავად მისი გადახდისუნარიანობისა, იმ შემთხვევაში, თუ მან ადვოკატი ზოგადი წესით არ აირჩია.

საყურადღებოა, რომ გადახდისუნარო პირებს შეუძლიათ ისარგებლონ იურიდიული დოკუმენტების შედგენის სერვისით ნებისმიერი სამართლებრივი პრობლემის შემთხვევაში, მიუხედავად საკითხის სირთულისა და მნიშვნელობისა.

„იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის 23¹ მუხლით განსაზღვრული „იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის დროებითი წესები“ მოქმედებს 2018 წლის 1-ელ იანვრამდე და ამ პერიოდში „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23¹ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით იურიდიული დახმარების საბჭო უფლებამოსილია (კანონის მიხედვით „2015 წლის 15 აპრილიდან 2018 წლის 1 იანვრამდე“) დამატებით განსაზღვროს ის საკითხები, რომლებიც არ არის მოცემული ამ კანონის 23¹ მუხლის პირველ პუნქტში და რომლებთან დაკავშირებითაც იურიდიული დახმარება (სასამართლოში წარმომადგენლობა) სამსახურმა უნდა უზრუნველყოს პირის გადახდისუნარობისა და საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით. იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის №27 გადაწყვეტილების („იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული იურიდიული დახმარების გაწევის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“) თანახმად, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, იმ პირისთვის იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, თუ ის აკმაყოფილებს ამავე გადაწყვეტილებით დადგენილი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს.

⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მ.363¹⁹ და „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი მ.5.2²

⁵ ადმინისტრაციული სამართალწარმოება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემასთან დაკავშირებით.

1. იურიდიული დახმარება სოციალურად დაუცველთათვის⁶

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23¹ მუხლის მიხედვით, გადახდისუუნარო პირისთვის სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნაწილში იურიდიული დახმარება (სასამართლოში წარმომადგენლობა), საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2015 წლის 15 აპრილიდან 2018 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოფილია იმ შემთხვევებში, თუ საქმე ეხება შემდეგი კანონებიდან გამომდინარე, აგრეთვე აღნიშნული კანონების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან გამომდინარე საკითხებს:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე (საოჯახო სამართალი) და მეექვსე წიგნები (მემკვიდრეობითი სამართალი),
2. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი,
3. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი,
4. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი,
5. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი,
6. „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი,
7. „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონი,
8. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი,
9. „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი,
10. „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი,
11. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.⁷

სხვადასხვა კანონის ნორმების შესაბამისად, გადახდისუუნარო პირებისათვის იურიდიული დახმარება აგრეთვე გათვალისწინებულია:

12. ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირთა საქმეებზე, როდესაც სასამართლო განიხილავს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხს;⁸

⁶ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარზე ნაკლებია.

⁷ ამ ეტაპზე აღნიშნული პირებისთვის უფასო იურიდიული დახმარება ხორციელდება მხოლოდ სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებულ საქმეებზე, მაგრამ 2018 წლიდან მათთვის უფასო იურიდიული დახმარება ყველა კატეგორიის საქმეზე იქნება ხელმისაწვდომი.

13. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საქმეებზე;⁹
14. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით, პირის სტაციონარში მოთავსების საქმეებზე;¹⁰
15. პატიმართა დისციპლინური სამართალწარმოების საქმეებზე;¹¹
16. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე, რომლებზეც სახდელის სახით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა.¹²

განსხვავებული სამუშაო სპეციფიკის მიუხედავად, ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგები, მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარს ქვემოთ მინიჭებული ოჯახების წევრებისთვის უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, მეტწილად მსგავსია. ყველა ფოკუს ჯგუფში გაჩნდა რისკი, რომ დასახელებულიყო მსხვილი მასშტაბის სფეროები, რაც ჩაღრმავებული კითხვების დასმით გამოირიცხა და გამოვლინდა არა

⁸ 2015 წლის 1 აპრილიდან, „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილია იმ ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირთათვის, რომელთა მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხსაც განიხილავს სასამართლო. აღნიშნული საქმეების განხილვისას, სავალდებულოა, რომ ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირს ჰყავდეს ადვოკატი. პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხთან დაკავშირებით იურიდიული დახმარების ბიუროს შეუძლია მიმართოს: მხარდაჭერის მიმღებს, ან მის კანონიერ წარმომადგენელს და სასამართლოს. პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხს სასამართლო განიხილავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV¹¹ თავით გათვალისწინებული წესით.

⁹ 2014 წლის 17 ოქტომბერს, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტში და „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლში შევიდა ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, 2015 წლის 1 იანვრიდან სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს დაევალა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევა.

¹⁰ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹⁸-ე მუხლის თანახმად, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ საქმის განხილვას, სხვა უფლებამოსილ პირებთან ერთად, აუცილებლად უნდა ესწრებოდეს პაციენტის ადვოკატი. თუ პაციენტს არა აქვს ადვოკატის აყვანის შესაძლებლობა, სასამართლო ვალდებულია დაუნიშნოს მას ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე, რასაც უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების სამსახური.

¹¹ პატიმრობის კოდექსის შესაბამისად, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, უფასო იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომია იმ ბრალდებულებისა და მსჯავრდებულებისათვის, რომელთა მიმართ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება. ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდებისას, მსჯავრდებულს ეძლევა უფლება ისარგებლოს თარჯიმნის და ადვოკატის მომსახურებით. ხოლო თუ მსჯავრდებული გადახდისუუნაროა და არ აქვს საშუალება საკუთარი ხარჯებით მოიწვიოს დამცველი, მას საზოგადოებრივი ადვოკატი დაენიშნება სახელმწიფოს ხარჯზე.

¹² იურიდიული დახმარების სამსახური უფასო საადვოკატო მომსახურებას უზრუნველყოფს იმ გადახდისუუნარო პირებისათვის, რომლებსაც ემუქრებათ ადმინისტრაციული პატიმრობა. ადმინისტრაციული პატიმრობა პირს შეიძლება შეეფარდოს შემდეგი სამართალდარღვევებისათვის: პირველად ჩადენილი ნარკოტიკული საშუალების მოხმარება, 1 წლის განმავლობაში, განმეორებით ჩადენილი ცივი იარაღის ტარება, ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ავტომობილის მართვა, წვრილმანი ხულიგნობა და სხვა.

სამართლის სფეროების ფართო დასახელებები, არამედ დამატებითი მითითებები ვიწრო მიმართულებაზე და დავის საფუძვლებზე. ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა დაასახელეს სხვადასხვა პრიორიტეტული სფეროები, თუმცა, ჯგუფის სხვა წევრებმა არ გააკრიტიკეს არცერთი ვერსია. ონლაინ გამოკითხვის ღია კითხვებში რესპონდენტებმა დაასახელეს როგორც მსხვილი, ისე შედარებით წვრილი მასშტაბის სფეროები. სამოქალაქო საქმეებიდან ყველაზე ხშირად დასახელდა სახელშეკრულებო, სანივთო, ვალდებულებითი, სესხებთან დაკავშირებული და ზიანის ანაზღაურების დავები. რაოდენობრივი გამოკითხვის მსგავსად, ფოკუს ჯგუფებში სამოქალაქო საქმეებში ყველაზე მნიშვნელოვან თემებად გამოყვეს შემდეგი:

- ვალდებულებითი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავები, სადაც, მათივე განმარტებით,¹³ ბევრია საქმე, სადაც მოვალე მხარეს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი პირი, ხოლო კრედიტორს - ფინანსური ინსტიტუტი (ძირითად შემთხვევებში მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ე.წ. „ონლაინ სესხების“ გამცემი კომპანიები). თბილისის საქალაქო სასამართლოს სტატისტიკის მიხედვითაც, ვალდებულებითი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავები სამოქალაქო საქმეთა უმეტეს ნაწილს იკავებს (2015 წელს სამოქალაქო საქმეთა 68% და 2016 წელს, 9 თვის მონაცემებით, სამოქალაქო საქმეთა 73%).

2015 წელს სოციალურად დაუცველი პირების მონაწილეობით ასევე ტარდება პროცესები სამისდღეობო რჩენის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებზე. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი საქმეები ხშირად კონსულტაციის და დოკუმენტების (შესაგებლის მომზადება, მორიგების შემთხვევაში პოზიციის ჩამოყალიბებაში დახმარება და ა.შ.) შედგენით იფარება, მაინც არის შემთხვევები, როდესაც პროცესზე მხარის წარმომადგენლობა შესაძლოა ცვლიდეს შედეგს. ეს განსაკუთრებით ის შემთხვევებია, როდესაც სესხი უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით და შესაძლოა მხარე პროცესზე მორიგების მისთვის საზიანო პირობებს სრულიად გაუცნობიერებლად დათანხმდეს და ძალიან მოკლე პერიოდში დარჩეს საცხოვრებლის გარეშე. სახელშეკრულებო ურთიერთობების გარდა ასევე არის დელიქტებიდან გამომდინარე დავები - როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანიდან გამომდინარე მოთხოვნები, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი ტიპის დავებში როგორც წესი ორივე მხარეს ფიზიკური პირები წარმოადგენენ, არცერთი ჯგუფის მიერ ამ შემთხვევებში უფასო საადვოკატო მომსახურების საჭიროებას მაღალი პრიორიტეტი არ მიენიჭა.

- სანივთო ანუ ქონებრივი დავები - რამდენიმე ჭრილში იქნა ნახსენები ფოკუს ჯგუფების წევრების მიერ. ესენია მემკვიდრეობიდან გამომდინარე დავები ქონებაზე,

¹³ ასეთი საქმეების დეტალური სტატისტიკა, სადაც მითითებული იქნება მხარეების სტატუსი არ იწარმოება არც სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურში და არც საერთო სასამართლოების სისტემაში.

სანივთო - უძრავი ქონების რეგისტრაცია და მასთან დაკავშირებული საკითხები. იუსტიციის სამინისტროს პროექტი მიწების რეგისტრაციებთან დაკავშირებით, ასევე სამეზობლო ურთიერთობებიდან გამომდინარე დავები, სადაც დავის საგანი მიწის ნაკვეთებს შორის არსებული საზღვარია - ეს ეხება როგორც დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთებს, ასევე დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების შემთხვევაში ფაქტობრივი მიჯნის არსებობის საკითხს. ასეთ შემთხვევებში უფასო საადვოკატო მომსახურების გამოყენებასაც დაბალი პრიორიტეტი მიენიჭა ჯგუფების წევრების მიერ, იმ არგუმენტაციით, რომ ამ შემთხვევებში უფრო მნიშვნელოვანია დოკუმენტაციის მოწესრიგება და ფაქტობრივი გარემოებების ზუსტი დადგენა, ვიდრე თავად სასამართლო პროცესი.

- სანივთო სამართლის ჭრილში განხილვის გარდა, დამატებით სხვა კუთხითაც იქნა განხილული სამეზობლო დავები. ჯგუფების წევრების განმარტებით, ხშირია შემთხვევები, როდესაც დავის საგანი სამეზობლო ურთიერთობებში გაჩენილი ემისიებია (ხმაური, სუნი...). გამომდინარე იქიდან, რომ დღეის მდგომარეობით ხმაურის, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წინააღმდეგ ეფექტიანი აღსრულების მექანიზმი ქვეყანაში არ ფუნქციონირებს, იშვიათად, მაგრამ მაინც მხარეებს უწევთ სასამართლოში დაიცვან უფლებები. ამ ტიპის დავებზე სასამართლოში წარმომადგენლობას დაბალი პრიორიტეტი მიენიჭა ყველა ჯგუფის მიერ.
- საქმეთა რაოდენობის სიმცირის მიუხედავად, არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომელთა მიერ ასევე დასახელდა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე საქმეებზე სოციალურად დაუცველი პირებისთვის საადვოკატო მომსახურების არსებობის საჭიროება.
- შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავები - როგორც წესი, დასაქმებულ პირებს არ აქვთ მინიჭებული სოციალურად დაუცველის სტატუსი, თუმცა, სამსახურის დაკარგვის შემდგომ, მათი ქონებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად უარესდება და სტატუსის მინიჭება მხოლოდ ბიუროკრატიული პროცედურების განხორციელების ვადაზეა დამოკიდებული. ასეთ შემთხვევებში ისინი სასამართლოში ვერ დავობენ საკმარისი ფინანსების არქონის გამო და, შესაბამისად, შესაძლებელია მათი უკანონო გათავისუფლება და აქედან გამომდინარე სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის მოთხოვნის უფლება სამუდამოდ განუხორციელებელ უფლებებად დარჩეს. საგულისხმოა, რომ მიუღებელ ხელფასზე დავის დროს ისინი ბაჟის გადახდისგან თავისუფლდებიან, ხოლო უფასო საადვოკატო მომსახურებით ვერ სარგებლობენ. ასეთი ტიპის დავებზე საადვოკატო წარმომადგენლობას ძალიან მაღალი პრიორიტეტი მიენიჭა ყველა ჯგუფში. აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო

ორგანიზაციების თანამშრომლების განმარტებით შრომითი დავები უფასო საადვოკატო მომსახურების ჭრილში მეტ-ნაკლებად მათ მიერ დაფარულია.

- დისკრიმინაციის ფაქტები - „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე დავების რაოდენობა სხვა ტიპის დავებთან შედარებით მცირეა, მაგრამ ეს ის შემთხვევებია, როდესაც ჯგუფების წევრების აზრით საპროცესო წარმომადგენლობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია პირის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად. ამ შემთხვევებში ყველაზე ხშირად სასამართლოში წარმომადგენლობას საჭიროებენ სხვადასხვა ჯგუფები, მათ შორის კი ყველაზე ხშირად რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური და სხვა ჯგუფების კუთვნილების გამო დისკრიმინირებული პირები. აღნიშნულ თემას ყველაზე მეტი მხარდამჭერი ჰყავდა არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლებით დაკომპლექტებულ ფოკუს ჯგუფებში.
- ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული დავები - ამ მიმართულებით პრაქტიკულად ყველა ფოკუს ჯგუფში ერთხმად ითქვა, რომ იმ საქმეებზე, სადაც სოციალურად დაუცველი პირი წარმოადგენს მოვალეს, არსებობს უამრავი შემთხვევა, სადაც პირები რჩებიან უფასო საადვოკატო მომსახურების გარეშე, რადგან მათ არ აქვთ პაციენტის სტატუსი. ყველა მონაწილე ერთსულოვანია იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევა აუცილებელია მიუხედავად იმისა, პირს ექნება თუ არა პაციენტის სტატუსი. ალოგიკურია, რომ საქმეებზე სადაც მხარეებს წარმოადგენენ ფიზიკური პირი და სამედიცინო დაწესებულება, სახელმწიფო უზრუნველყოფს უფასო საადვოკატო მომსახურებას, ხოლო, მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის საქმეზე, სადაც ჯანმრთელობის ზიანიც სახეზეა და სარჩოს მიღების საჭიროებაც, სახელმწიფო პირებს მხოლოდ უფასო კონსულტაციით ეხმარება.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები - ფოკუს ჯგუფებში მონაწილეთა უმრავლესობის თქმით შშმ პირებისთვის უფასო საადვოკატო მომსახურება უნდა არსებობდეს არა მხოლოდ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, არამედ ყველა კატეგორიის საქმეზე (ახსენეს საქართველოსთვის კონვენციით დაკისრებული ვალდებულებაც), თუმცა, ამ შემთხვევაში არსებობს რისკი, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდება მოთხოვნა, რასაც შესაძლოა, არ ეყოს იურიდიული დახმარების სამსახურის არსებული ადამიანური რესურსი. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ფოკუს ჯგუფში დაფიქსირდა პოზიცია, რომ დღევანდელი რეგულაციით, გონივრული მისადაგების სტანდარტის არარსებობა არ ითვლება დისკრიმინაციად, თუმცა, როდესაც ეს კანონმდებლობა დაიხვეწება, შემდგომში ამ შემთხვევებს განვიხილავთ, როგორც დისკრიმინაციას (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციით აღნიშნული პრინციპის არარსებობა სწორედ დისკრიმინაციად

განხილვებ) და შშმ პირების უფლებების ცალკე გამოყოფა ამ აზრით აღარ იქნება საჭირო.

- ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული დავები - ფოკუს ჯგუფებში აღნიშნული თემა დაფიქსირდა, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მისი სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ტიპის დავებში ადვოკატის როლი ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტია და, როგორც წესი, დაკავშირებულია პირისთვის ფინანსური სარგებლის მიღებასთან, რაც სოციალურად დაუცველთათვის უმნიშვნელოვანესია.

ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებიდან ყველაზე მნიშვნელოვან თემებად დასახელდა:

- საქმეები, სადაც დავის საგანს უძრავი ქონების რეგისტრაცია და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები წარმოადგენს. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ხორციელდება პროექტი მიწების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რაც მიწის რეგისტრაციის გამარტივებულ პროცედურებს გულისხმობს. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ შემთხვევებში მაინც რჩება პრობლემად შემთხვევები როდესაც სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და სოციალურად დაუცველი პირები დავობენ უძრავი ქონები რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული დავები უმეტეს შემთხვევაში უკავშირდება ე.წ. „მიწის გადაფარვის“ საკითხს, როდესაც საჭიროა დადგენილების გაუქმება. აღნიშნულ საქმეებზე უფასო საადვოკატო მომსახურების აუცილებლობაზე საერთო აზრი არსებობდა ყველა ფოკუს ჯგუფში, მათ შორის აღნიშნული საკითხი აქტიურად იქნა განხილული მოსამართლეების ფოკუს ჯგუფის მიერ.
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან გამომდინარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეები - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 255-ე მუხლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის სახით გათვალისწინებულია მხოლოდ ადმინისტრაციული პატიმრობა ან ადმინისტრაციული პატიმრობა სხვა სახის სახდელთან ერთად, პირს, თუკი იგი გადახდისუუნაროა, უფლება აქვს, მოითხოვოს ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშვნა. მეორეს მხრივ, არასრულწლოვანთა კოდექსში არსებული ჩანაწერი უფასო იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებით შედარებით ბუნდოვანია, მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებულია იმგვარად, რომ თუ სამართალდამრღვევი არასრულწლოვანია, მიუხედავად იმისა, კონკრეტულ შემთხვევაში პასუხისმგებლობის ზომად პატიმრობა გათვალისწინებულია თუ არა, პირს მაინც ენიშნება ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ბიუროს უფროსების აზრით, მოსამართლეების მიერ აღნიშნული განმარტება მცდარია და მნიშვნელოვანია, აღნიშნული შემთხვევების, როგორც წესის დამატება „იურიდიული დახმარების

შესახებ“ საქართველოს კანონში. სხვა ჯგუფების წევრების აზრით, გარდა აღნიშნული დამატებისა, კარგი იქნება, თუ უფასო საადვოკატო მომსახურება ისეთ შემთხვევებშიც, იარსებებს, როდესაც არასრულწლოვანი არის მსხვერპლი. მოსამართლეთა ფოკუს ჯგუფში ასევე დაფიქსირდა მოსაზრება, რომ არასრულწლოვანთათვის ყველა კატეგორიის საქმეზე მათივე საუკეთესო ინტერესების დაცვისთვის სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევის ვალდებულება.

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული საქმეები - არის შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტის გამო (მშენებლობის ნებართვა, საქმიანობის განხორციელების ნებართვა), ზიანი ადგებათ სოციალურად დაუცველ პირებს. ერთის მხრივ, შესაძლებელია, წარმოებდეს დავა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, მაგრამ ხშირად მიმდინარეობს სასამართლოში ადმინისტრაციული წესით საქმის განხილვა აქტის გაუქმების მოთხოვნით. დღევანდელი რეგულაციით სოციალურად დაუცველი პირები ვერ სარგებლობენ უფასო საადვოკატო მომსახურებით მაშინ, როდესაც ამ ტიპის საქმეებზე სასამართლოში წარმომადგენლობას დიდი მნიშვნელობა აქვს.
- დისკრიმინაციის შემთხვევები - „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ დავებზე უფასო საადვოკატო მომსახურების საჭიროებაზე ყურადღება გამახვილდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოსამართლეების ფოკუს ჯგუფებში. მიუხედავად იმისა, რომ ეს შემთხვევები მეტ-ნაკლებად იფარება უფასო იურიდიული მომსახურების გამწევი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, მაინც რჩება ერთეული შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა სოციალურად დაუცველი მცირე ჯგუფების ინტერესები ილახება არსებული რეგულაციების გამო.
- სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებულ საქმეებზე სოციალურად დაუცველთა უფლებების დაცვა - მიუხედავად იმისა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ყადაღას არ ექვემდებარება იმ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრის ქონება, გარდა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული ქონებისა, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელიც საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარზე ნაკლებია, მაინც არსებობს შემთხვევები, როდესაც სოციალურად დაუცველი პირები დავობენ სასამართლოში აღსრულების ეროვნული ბიუროს/კერძო აღმასრულებლის წინააღმდეგ ან აღნიშნულ პროცესში სამოქალაქო წესით ითხოვენ მათ საკუთრებაში არსებული ნივთების ყადაღის აქტიდან ამორიცხვას. ამ ტიპის საქმეებზე საადვოკატო მომსახურების აუცილებლობას ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა მაღალი პრიორიტეტი არ მიანიჭეს.

- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე დავები - პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობით, აღნიშნული უფლებების დასაცავად გათვალისწინებულია ორი ძირითადი მექანიზმი: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი და სასამართლო. იურიდიული დახმარების სამსახურს სამუშაო პრაქტიკაში ჰქონდა შემთხვევა, როდესაც პირი ითხოვდა ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობას, რომელიც გამომდინარეობდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და მას უარი ეთქვა უფასო საადვოკატო მომსახურებაზე. ჯგუფების წევრების პოზიციით მნიშვნელოვანია, პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით არსებობდეს სასამართლო პრაქტიკა და ის პოტენციური ზიანი, როგორც მატერიალური ასევე მორალური, რაც შეიძლება დადგეს ფიზიკურ პირთა პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავების შედეგად თავიდან უნდა იქნას აცილებული სოციალურად დაუცველი პირებისთვის უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევით.
- პრაქტიკულად ყველა ფოკუს ჯგუფში განსაკუთრებული მხარდაჭერით სარგებლობდა მოსაზრება, რომ უფასო საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწიოთ სტიქიის შედეგად დაზარალებულ სოციალურად დაუცველ პირებს, სტიქიით მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებულ დავებში.

2. იურიდიული დახმარება გადახდისუუნარო პირთათვის, ვისაც სოციალურად დაუცველი პირის სტატუსი¹⁴ არ აქვს

სოციალურად დაუცველთა საჭიროებების განხილვასთან ერთად, ყველა ფოკუს ჯგუფში გამოითქვა მოსაზრებები სოციალურად დაუცველის ოფიციალური სტატუსის არმქონე, მაგრამ გადახდისუუნარო პირთათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენის საჭიროების შესახებ. ამ მხრივ ყურადღება გამახვილდა შემდეგ ჯგუფებსა და საკითხებზე:

- პატიმრები და სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარები - ქართული კანონმდებლობის მიხედვით, შეუძლებელია, პატიმარს ჰქონდეს სოციალურად დაუცველის სტატუსი. თუმცა, დღეს მოქმედი საგამონაკლისო კრიტერიუმების მიხედვით, თუ ამ პირის ოჯახი არაა რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში და შესაძლებელია დასკვნის გამოტანა, რომ მისი ოჯახი იმყოფება ისეთ მძიმე სოციალურ მდგომარეობაში, რომელიც შეუძლებელს ხდის მათ მიერ ადვოკატის დაქირავებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების მოძიებას, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ამ პირისთვის იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ. აღნიშნული შემთხვევებისგან განსხვავებით, როდესაც პირი პატიმარია და მას არ ჰყავს ოჯახი, იგი რჩება უფასო საადვოკატო მომსახურების გარეშე და მისთვის ადვოკატის დანიშვნა საგამონაკლისო წესითაც ვერ მოხდება. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისა და ბიუროების უფროსების მიერ აღნიშნული ტიპის საქმეებს მაღალი პრიორიტეტი მიენიჭათ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს საერთო პოზიცია, რომ ეს არ უნდა გავრცელდეს ყველა ტიპის დავაზე - ამ მიმართულებით უნდა დაწესდეს შეზღუდვები, რათა არ მოხდეს სახელმწიფო რესურსების არაეფექტიანი ხარჯვა. თავის მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარებისთვის უფასო საადვოკატო მომსახურება საქმის ტიპის გათვალისწინებით ხელმისაწვდომი იყოს არა საგამონაკლისო წესით, არამედ კანონით წინასწარ განსაზღვრულ შემთხვევებში.
- შრომითი დავები - მათი რაოდენობა საკმაოდ ბევრია. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოში 2015 წელს 624 დასრულებული საქმე ფიქსირდება შრომით დავებთან დაკავშირებით, 2016 წელს კი - 562, თუმცა, მხოლოდ 9 თვის მდგომარეობით. მეორეს მხრივ, ყურადღებით რომ გავეცნოთ მიზეზებს, რის გამოც პირები გახდნენ სოციალურად დაუცველები, აღმოვაჩინეთ, რომ მათ ერთ დღეს

¹⁴ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარზე ნაკლებია.

დაკარგეს სამსახური. მთელ რიგ შემთხვევებში შეუძლებელია ვარაუდი, შეიცვლებოდა თუ არა უარესობისკენ პირის ქონებრივი მდგომარეობა, მას რომ ჰქონოდა სასამართლოში დავის შესაძლებლობა. ყველა ფოკუს ჯგუფში შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავებზე უფასო საადვოკატო მომსახურების არსებობას მაღალი პრიორიტეტი მიენიჭა, რადგანაც ამ ტიპის დავებს უმეტეს შემთხვევაში პირდაპირი კავშირი აქვს პირის მომავალ სტატუსთან და იმავდროულად ამას ექნება პრევენციული ფუნქცია, რათა დამსაქმებლებმა იმ იმედით არ დაარღვიონ დასაქმებულთა შრომითი უფლებები, რომ დასაქმებული სასამართლოში მაინც არ ან ვერ წავა.

- ოჯახში ძალადობის საქმეები - „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე საქმეებზე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის ბენეფიციარები ძალიან ხშირად არიან სოციალურად დაუცველი პირები. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის 17 ოქტომბერს, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტში და „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის¹⁵ მე-17 მუხლში შევიდა ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, 2015 წლის 1 იანვრიდან სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს დაევალა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევა, ამ შემთხვევებში, მოქალაქეებთან იურიდიული დახმარების სამსახურის ურთიერთობაში, კონსულტაციების მიღმა ღიად არის დარჩენილი შემაკავებელ და დამცავ ორდერებთან დაკავშირებული საკითხები. პრობლემის მიზეზი არის ის, რომ ბენეფიციარები სარგებლობენ „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საერთო წესით, რაც გულისხმობს პირისთვის სოციალურად დაუცველის სტატუსის აუცილებლობას. ჯგუფების მონაწილეთა აზრით, ამ ტიპის საქმეებზე უფასო საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწიოთ პირებს მათი სტატუსის მიუხედავად.
- არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომელთა და მოსამართლეთა ფოკუს ჯგუფებში განსაკუთრებული მხარდაჭერით სარგებლობდა მოსაზრება, რომ უფასო საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწიოთ სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირებს, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ სოციალურად დაუცველის სტატუსი, რადგან, როგორც წესი, ასეთ პირებს დაკარგული აქვთ ქონების უდიდესი ნაწილი და კომპენსაციის მიღებამდე ხშირ შემთხვევაში სოციალურად დაუცველ პირებზე მძიმე პირობებში უწევთ არსებობა.

¹⁵ მოქმედი რედაქციით კანონის დასახელებაა „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი.

- მხარდამჭერის მიმღები პირები - მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია მხარდამჭერის მიმღები პირების მიმართ იურიდიული დახმარების, მათ შორის საადვოკატო მომსახურების გაწევა. კერძოდ, როდესაც პირი ხდება მხარდამჭერის მიმღები, მაშინ მას სავალდებულო წესით ენიშნება ადვოკატი, მაგრამ თუ პირი უკვე არის მხარდამჭერის მიმღები და მას სურს სხვა საკითხთან დაკავშირებით დავა, მას სახელმწიფოს მხრიდან ადვოკატი აღარ გამოეყოფა. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ფოკუს ჯგუფში დაფიქსირდა პოზიცია, რომ მნიშვნელოვანია ამ პირებისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევა სხვა კატეგორიის საქმეებზეც და, შესაბამისად, სხვა საკანონმდებლო აქტების მსგავსად, არ უნდა გადაიდოს „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 2² პუნქტის ამოქმედება და გეგმის მიხედვით უნდა ამოქმედდეს 2018 წლის 1-ლი აპრილიდან.
- დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეები - ფოკუს ჯგუფების წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, შესაძლებელი უნდა იყოს, დისკრიმინაციის თემების სასამართლოს მიერ (და არა იურიდიული დახმარების სამსახურისთვის მიმართვის შედეგად), 47-ე მუხლის გამოყენებით სრულად დაფარვა, მიუხედავად პირის სოციალური სტატუსისა.
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევები - ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა აზრით, პირის სოციალური სტატუსის მიუხედავად, უნდა არსებობდეს მისთვის უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევის შესაძლებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ისეთ საქმეებზე, რომლებიც დაკავშირებული იქნება წვრილმან ხულიგნობასთან (მ.166) და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის დაუმორჩილებლობასთან/წინააღმდეგობის გაწევასთან (მ.173), რადგანაც პრაქტიკაში ძირითადად ამ მუხლების სხვა მუხლებთან კომბინაციებში ხდება პირთა დაკავება და სტატისტიკურად საკმაოდ ხშირია, როდესაც სრულიად დაუსაბუთებლად ხდება ამ საფუძვლ(ებ)ით პირთა დაკავება და შემდგომ სასამართლოს მიერ მათი გათავისუფლება.

3. კვლევის პროცესში გამოვლენილი საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროებები და სხვა საკითხები

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა (გამოკითხული მოსამართლეების 69%, იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლების 73% და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების ნახევარი¹⁶) თვლის, რომ საჭიროა დამატებითი საკანონმდებლო ცვლილებები იმისთვის, რომ სრულად დაკმაყოფილდეს გადახდისუუნარო პირების საჭიროებები სამართლებრივი დაცვის კუთხით. ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა დაასახელეს კანონმდებლობასთან დაკავშირებული და სხვა საკითხები, რაც პრობლემებს ქმნის გადახდისუუნარო პირებისთვის უფასო იურიდიული დახმარების გაწევის დროს. საკანონმდებლო ცვლილებათაგან გამოვლინდა შემდეგი:

- ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა აზრით, იურიდიული დახმარების მიღების მსურველთათვის გაურკვევლობას იწვევს, ერთის მხრივ, გადახდისუუნარო და, მეორეს მხრივ, სოციალურად დაუცველი პირის ორი განსხვავებული ცნება, რაც პრაქტიკაში გულისხმობს მოსამართლის შეზღუდვას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლში პირდაპირი მითითებაა „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც თავის მხრივ გადახდისუუნარო პირის ცნების განსაზღვრისას საქართველოს მთავრობის დადგენილებაზე აკეთებს მითითებას). მიუხედავად იმისა, რომ თვითადმინისტრირებადი გამოკითხვის რესპონდენტი მოსამართლეების უმრავლესობა (59%) ამბობს, რომ იშვიათად ან არასდროს ჰქონია ისეთი შემთხვევა, როცა საქმეში ხედავდა იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატის ჩართვის საჭიროებას, მაგრამ ვერ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლი 23¹ მუხლის შეზღუდვების გამო, ასეთი შემთხვევები, მოსამართლეთა 16%-ის თქმით, ხშირი ან ძალიან ხშირია და, მათი მეოთხედის თქმით, საშუალო სიხშირით ხდება. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შორის გამოითქვა მოსაზრება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში გაუქმდეს მითითება „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონზე და მოსამართლეს ჰქონდეს შესაძლებლობა მის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმებით პირს დაუნიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.
- აღნიშნულის ალტერნატიული მოსაზრება შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოქმედი რედაქცია შემდეგნაირია: „თუ მხარე გადახდისუუნაროა და, საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, ამ საქმის განხილვაში ადვოკატის მონაწილეობა მიზანშეწონილია, სასამართლოს უფლება აქვს, აღნიშნული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23¹ მუხლით დადგენილ

¹⁶ იურიდიული დახმარების გამწევი არასამთავრობო ორგანიზაციების მეორე ნახევარს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

ფარგლებში დანიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.“ იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროების უფროსების ფოკუს ჯგუფში დაფიქსირებული აზრის მიხედვით, აღნიშნულ ნორმაში კავშირი „და“ უნდა ჩანაცვლდეს კავშირით „ან“ და, შესაბამისად, მოსამართლეს ექნება უფლებამოსილება, მხარის გადახდისუუნარობის ან საქმის მნიშვნელობიდან და სირთულიდან გამომდინარე მხარეს მისივე შუამდგომლობის საფუძველზე დაუნიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. აღნიშნულის გარდა, ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ხედავენ საჭიროებას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ იყოს მიბმული „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23¹ მუხლზე და, შესაბამისად, მოსამართლეს უნდა ჰქონდეს სრული თავისუფლება, მხარეს დაუნიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.

- არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომელთა აზრით, ცვლილება უნდა შევიდეს „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №141/ნ-ში და საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებაში. კერძოდ, უნდა მოხდეს კრიტერიუმების გადახედვა, რათა, ერთის მხრივ, პირის სოციალურად დაუცველად ცნობა არ წარმოადგენდეს დიდ ბიუროკრატიულ მექანიზმს, რათა შესაბამისი სტატუსის მინიჭებამდე პირებს იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის არარსებობის გამო არ მიაღვეთ ზიანი და, მეორეს მხრივ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლით გათვალისწინებული გადახდისუუნარო პირისა და „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გადახდისუუნარო პირების ცნებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან.
- იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლების განმარტებით, საკანონმდებლო ცვლილებები დამატებით საჭიროა შემდეგი პრობლემის გადასაჭრელად: მათი განცხადებით, ისინი ზოგჯერ წარმოადგენენ მხარეს ისეთ დავებზე, რომელზეც მოქალაქე გათავისუფლებულია ბაჟის გადახდისგან (მაგალითად, საოჯახო დავებზე, კერძოდ, ბავშვის მამობის დადგენაზე). ამ საქმეებზე ადვოკატიც სახელმწიფოს ხარჯზე ინიშნება, მაგრამ იმისთვის, რომ პროცესი სრულყოფილად წარიმართოს, საჭიროა ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ხარჯისგანაც მხარე გათავისუფლებული არ ავს და არც გადახდის შესაძლებლობა აქვს. ასეთ შემთხვევებში მისი ბაჟისგან გათავისუფლებაც კარგავს აზრს და, რაც მთავარია, მისთვის უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევა იმიტომ, რომ ამ მტკიცებულების გარეშე სასამართლო პროცესს მხარე ვერ მოიგებს.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, გამოთქვეს მოსაზრებები იურიდიული დახმარების გაწევის კრიტერიუმების (საგამონაკლისო წესების) შესახებ იურიდიული დახმარების საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანაზე.

- აღნიშნული წესის მიხედვით, თუ იურიდიული დახმარების სამსახურს დახმარებისთვის მიმართავს მოქალაქე, რომელიც მიმართავამდე რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და, მთავრობის დადგენილების შესაბამისად, გადახდისუუნაროდ ითვლებოდა და ენიჭებოდა სახელმწიფო ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება, მაგრამ მომართვისას მისი ბოლო მონაცემი გადასულია არქივში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი უფლებამოსილია, ასეთ პირს გაუწიოს იურიდიული დახმარება. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ პირი მიმართვის დროისთვის კვლავ რეგისტრირებულია ბაზაში და აქვს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარზე მაღალი ქულა, ეს შემთხვევა დარჩება არა მხოლოდ კანონის, არამედ საგამონაკლისო წესების მიღმაც. ასეთ შემთხვევებში პრაქტიკაში პირები აუქმებენ რეგისტრაციას ბაზაში, ხელახლა მიმართავენ სამსახურს და იღებენ დახმარებას. მითითებულ კრიტერიუმში (პირველი კრიტერიუმი) ცვლილების შეტანის აუცილებლობას ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა დიდი უმრავლესობა ხედავს.
- არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლების აზრით, კარგი იქნება, თუ საგამონაკლისო წესით უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისთვის იარსებებს საქმის პერსპექტიულობის კრიტერიუმი. თუმცა, პერსპექტიულობა ცხადია არა ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, რამდენად მაღალია საქმის მოგების ალბათობა, არამედ იმ გაგებით, რომ შეიძლება სასამართლოში დავის შედეგად შეიქმნას სასამართლო პრაქტიკა, რაც სხვა მრავალ ადამიანს გაუადვილებს სასამართლოსთან ურთიერთობას.
- იურიდიული დახმარების საბჭოს გადაწყვეტილება - იურიდიული დახმარების გაწევის კრიტერიუმების (საგამონაკლისო წესების) დადგენის თაობაზე პრაქტიკაში ისეთივე სიხშირით გამოიყენება, როგორც კანონის ნორმები. ბიუროს უფროსებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების აზრით, აღნიშნული საგამონაკლისო წესები იმდენად კონკრეტულია, რომ კანონის ფუნქციას ასრულებს - ისინი თავისი შინაარსით არ ტოვებს გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებას, შესაბამისად, არათუ პრობლემა არ იქნება, პირიქით, აჯობებს კიდევ, თუ ეს საგამონაკლისო წესები (მეშვიდე კრიტერიუმის¹⁷ გარდა) გადავა კანონში, ხოლო საგამონაკლისოდ დადგენილი იქნება ზოგადი ჩარჩო წესები, სადაც იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს გადაწყვეტილების მიღების მეტი თავისუფლება ექნება.

¹⁷ პირი იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული ადვოკატის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავია და არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

დასკვნა

კვლევის მონაწილე იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები (მოსამართლეები, იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტები, ადვოკატები, ბიუროს უფროსები და იურიდიული დახმარების გამწევი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები) ხედავენ იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოების საჭიროებას სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე. ისინი დამატებითი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებასაც მიიჩნევენ აუცილებლად გადახდისუუნარო პირების იურიდიული დაცვის გაუმჯობესებისთვის.

განსხვავებული სამუშაო სპეციფიკის მიუხედავად, კვლევის შედეგად, მათი მოსაზრებები მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარს ქვემოთ მინიჭებული ოჯახების წევრებისთვის უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, მეტწილად მსგავსია. იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოების თვალსაზრისით, სამოქალაქო საქმეებიდან ყველაზე მნიშვნელოვან თემებად დასახელდა:

- სახელმწიფო ურთიერთობებიდან გამომდინარე დავები, სადაც სოციალურად დაუცველი პირი წარმოადგენს მოვალეს, ხოლო ფინანსური დაწესებულება (ძირითად შემთხვევებში: ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია) - კრედიტორს;
- სამისდღემო სარჩოს გადახდასთან დაკავშირებული დავები;
- სანივთო ანუ ქონებრივი დავები, სადაც დავის საგანს წარმოადგენს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დაცვა, როგორც უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის, ასევე სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთის ჭრილში;
- სამეზობლო ურთიერთობებიდან გამომდინარე დავები, სადაც ემისიებიდან გამომდინარეობს ზიანის ანაზღაურების ან ქმედების განხორციელების შეწყვეტის მოთხოვნის უფლებები;
- „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე დავები;
- შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავები, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაოდან პირის გათავისუფლებასთან და, აქედან გამომდინარე, სამუშაოზე აღდგენასა და დამსაქმებლისგან განაცდურის მოთხოვნასთან;
- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე დავები, სადაც პირები დავობენ ქონებრივი ან მორალური ზიანის ანაზღაურებაზე;
- ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული დავები, სადაც სოციალურად დაუცველ პირს არ აქვს პაციენტის სტატუსი;

- საქმეები, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები იცავენ სპეციალურ, მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებებს (არა მხოლოდ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე დავები);
- ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული დავები.

იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოვების თვალსაზრისით, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებიდან ყველაზე მნიშვნელოვან თემებად დასახელდა:

- საქმეები, სადაც დავის საგანს წარმოადგენს უძრავი ქონების რეგისტრაცია და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები (ძირითად შემთხვევებში აღნიშნულ დავებში მეორე მხარეს წარმოადგენს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო);
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან გამომდინარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეები, სადაც კანონით სახდელის სახით არ არის გათვალისწინებული პატიმრობა;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული საქმეები;
- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ დავები;
- სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებულ საქმეებზე (ძირითად შემთხვევებში დავები, სადაც მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენს სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო ან კერძო აღმასრულებელი);
- სტიქიით მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებულ დავები.

სოციალურად დაუცველის სტატუსის არმქონე, გადახდისუუნარო პირებისთვის უფასო საადვოკატო მომსახურებასთან დაკავშირებით კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

- პატიმრებისთვის და სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარებისთვის უფასო საადვოკატო მომსახურება საქმეებზე ისეთ შემთხვევებში, როცა მათ არ ჰყავთ ოჯახები და, შესაბამისად, ვერც საგამონაკლისო წესების მე-9 კრიტერიუმით ღებულობენ უფასო საადვოკატო მომსახურებას. ფოკუს ჯგუფების წევრთა აზრით, ამ შემთხვევაში დაწესებული უნდა იყოს შეზღუდვა დავების ტიპებზე;
- შრომითი დავები, რომლებიც დაკავშირებულია პირისთვის ერთადერთი შემოსავლის წყაროს დაკარგვასთან;

- ოჯახში ძალადობის საქმეები - შემაკავებელ და დამცავ ორდერებთან დაკავშირებული საკითხები;
- სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირებისთვის კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებული დავები;
- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე დავები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროებები:

- მოსამართლეთა ფოკუს ჯგუფის განსაკუთრებული მხარდაჭერით, რომელსაც სხვა ჯგუფების მონაწილეებიც ეთანხმებიან, სარგებლობს ცვლილების საჭიროება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლში. კერძოდ, 47-ე მუხლის მე-2 ნაწილში უნდა გაუქმდეს მითითება „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონზე და მოსამართლეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ნებისმიერ შემთხვევაში, წინასწარ დადგენილი შეზღუდვების გარეშე, საქმის სპეციფიკიდან და პიროვნებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად დაადგინოს პირის გადახდისუნარიობის საკითხი და განჩინებით დაუნიშნოს პირს ადვოკატი (როგორც ეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების ნაწილში ხდება) სახელმწიფოს ხარჯზე. აღნიშნული ცვლილების შედეგად აღარ იარსებებს კაზუსები, თუ როგორ უნდა მოიქცეს იურიდიული სამსახური, როდესაც მოსამართლის განჩინებით ადვოკატი ენიშნება პირს იმ ტიპის დავაზე, რომელიც არ ჯდება „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23¹ მუხლით დადგენილ ფარგლებში;
- ყველა ჯგუფში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, გადასახედია პირისთვის სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმები და პროცედურა;
- იურიდიული დახმარების საბჭოს გადაწყვეტილება - იურიდიული დახმარების გაწევის კრიტერიუმები (საგამონაკლისო წესები) - პირველ კრიტერიუმში უნდა შევიდეს ცვლილება და გამონაკლისის სახით უნდა იყოს შესაძლებელი პირისთვის იურიდიული დახმარების გაწევა მიუხედავად იმისა, ის მიმართვის მომენტისთვის არის თუ არა რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.
- იურიდიული დახმარების საბჭოს გადაწყვეტილებაში უნდა დაემატოს საქმის პერსპექტიულობის კრიტერიუმი, რაც გულისხმობს არა მხოლოდ იმ კონკრეტული საქმის წარმატების მაღალ ალბათობას, არამედ არარსებული ან ბუნდოვანი სასამართლო პრაქტიკის არსებობის შემთხვევაში ნათელი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობასაც. აღნიშნულ კრიტერიუმს იყენებს ზოგიერთი

არასამთავრობო ორგანიზაცია უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

- იურიდიული დახმარების საბჭოს გადაწყვეტილების ის საგამონაკლისო კრიტერიუმები, რომლებიც პრაქტიკაში გამოიყენება, უგამონაკლისოდ, ყველა შემთხვევაში გადავიდეს კანონში.

რეკომენდაციები

კვლევის პროცესის მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება, რომ გადახდისუუნარო პირებისთვის სახელმწიფომ უნდა განახორციელოს მისი სოციალური ფუნქცია და უზრუნველყოს მათი სრული იურიდიული დახმარება (მათ შორის სასამართლოში წარმომადგენლობა) ყველა კატეგორიის დავაში. თუმცა, გასათვალისწინებელია სახელმწიფოს ხელთ არსებული როგორც ფინანსური, ისე ადამიანური რესურსების შეზღუდული რაოდენობა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს საჭიროებების სწორ პრიორიტეტიზაციას. კვლევის შედეგად დაგროვებული საკითხების სიმრავლისა და ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა პოზიციის გათვალისწინებით, იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოება უნდა მოხდეს არა ერთბაშად, არამედ ეტაპობრივად. „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით 2015-2016 წლებში რამდენიმე მიმართულებით უკვე გაფართოვდა იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი და დღეს მოქმედი რედაქციითაც 2018 წლის პირველი აპრილიდან გათვალისწინებულია მანდატის გაფართოება, რაც გულისხმობს სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციულ საქმეზე მხარდაჭერის მიმღები მხარეებისთვისაც.¹⁸

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდებულია იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის სულ ცოტა ორ ეტაპად გაფართოება: ზოგიერთი მიმართულებით 2018 წლიდან, ხოლო დანარჩენ საკითხებზე 2019 წლიდან ან შემდგომ. პრიორიტეტების მიხედვით საკითხების ჩამონათვალი შემდეგია:

2018 წლიდან:

- სანივთო ანუ ქონებრივი დავები, სადაც დავის საგანს წარმოადგენს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დაცვა, როგორც უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის, ასევე სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთის ჭრილში. ასევე უძრავი ქონების რეგისტრაციასთან და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიდან გამომდინარე ადმინისტრაციული კატეგორიის დავები;

¹⁸ „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 2² პუნქტი: „ამ კანონის მე-3 მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილია იმ პირისათვის, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც უნდა განიხილოს სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV11 თავით გათვალისწინებულ საქმეებთან დაკავშირებით, აგრეთვე იმ მხარდაჭერის მიმღებისთვის, რომელიც არის მხარე სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციულ საქმეზე, მიუხედავად მისი გადახდისუუნარიანობისა, იმ შემთხვევაში, თუ მან ზოგადი წესით არ აირჩია ადვოკატი.“ აღნიშნული ნორმა იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს იურიდიული დახმარების უზრუნველყოფას სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციულ საქმეზე მხარდაჭერის მიმღები მხარისათვის, ამოქმედდება 2018 წლის 1 აპრილიდან)

- ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული დავები, სადაც სოციალურად დაუცველ პირს არ აქვს პაციენტის სტატუსი;
- შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავები, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაოდან პირის გათავისუფლებასთან და აქედან გამომდინარე სამუშაოზე აღდგენასა და დამსაქმებლისგან განაცდურის მოთხოვნასთან;
- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე სამოქალაქო (სადაც პირები დავობენ ქონებრივი ან მორალური ზიანის ანაზღაურებაზე) და ადმინისტრაციული კატეგორიის დავები;
- საქმეები, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები იცავენ სპეციალურ, მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებებს (არა მხოლოდ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან დავები);
- სტიქიით მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებული დავები;
- „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე - შემაკავებელი და დამცავი ორდერების გაცემასთან დაკავშირებული დავები;

2019 წლიდან:

- „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე დავები;
- სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე დავები, სადაც სოციალურად დაუცველი პირი წარმოადგენს მოვალეს, ხოლო ფინანსური დაწესებულება (ძირითად შემთხვევებში: ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია) - კრედიტორს;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან გამომდინარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეები, სადაც კანონით სახდელის სახით არ არის გათვალისწინებული პატიმრობა;
- სამისდღეშიო სარჩოს გადახდასთან დაკავშირებული დავები;
- სამეზობლო ურთიერთობებიდან გამომდინარე დავები - სადაც ემისიებიდან გამომდინარეობს ზიანის ანაზღაურების ან ქმედების განხორციელების შეწყვეტის მოთხოვნის უფლებები;
- ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული დავები;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული საქმეები;

- სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებულ საქმეებზე (ძირითად შემთხვევებში დავები, სადაც მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენს სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო ან კერძო აღმასრულებელი).

დანართები

დანართი 1 - მეთოდოლოგია

კვლევა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოების პერსპექტივების შესახებ მოამზადა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა (CRRC-საქართველო) „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) პროგრამის ფარგლებში. ამ პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) და დაფინანსებულია USAID-ის მიერ. კვლევა ჩატარდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურთან თანამშრომლობით და მისი მიზანია, სამსახურმა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მანდატის გაფართოების კუთხით.

კვლევა აგროვებს მონაცემებს და მოსაზრებებს იმის შესაფასებლად, თუ როგორ ხედავენ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები, კერძოდ, მოსამართლეები, იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლები და იურიდიული დახმარების გამწევი არასამთავრობო ორგანიზაციები სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოებას სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე.

კვლევა ჩატარდა 2017 წლის იანვრიდან აპრილამდე პერიოდში. იგი მოიცავს კვლევის რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს. კვლევის რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა:

- **სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მომუშავე მოსამართლეების თვითადმინისტრირებადი გამოკითხვა.** აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) შუამდგომლობით, უზენაესმა სასამართლომ კითხვარები მიაწოდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეებზე მომუშავე მოსამართლეებს. კითხვარები შეივსო 2017 წლის 26 იანვრიდან 9 თებერვლამდე პერიოდში, სულ მივიღეთ 34 შევსებული კითხვარი.
- **ონლაინ გამოკითხვა იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტებსა და ადვოკატებს შორის.** იურიდიული დახმარების სამსახურს 12 ბიუროს უფროსი, 25 კონსულტანტი და 32 ადვოკატი ჰყავს. ონლაინ კითხვარი, რომელიც CRRC-საქართველომ esurvey.ge პლატფორმის გამოყენებით მოამზადა, იურიდიული დახმარების სამსახურმა თავის თანამშრომლებს გაუგზავნა. საერთო ჯამში, მივიღეთ 60 შევსებული კითხვარი, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა 2017 წლის 16-დან 28 მარტამდე პერიოდში შეავსეს.

- **ონლაინ გამოკითხვა იურიდიული დახმარების გამწევი არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებს შორის.** აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტთან (EWMI) შეთანხმებით, CRRC-საქართველომ შეადგინა უფასო იურიდიულ დახმარებაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ადვოკატების სია, სულ 56 ადვოკატი და ელექტრონული ფოსტით გაუგზავნა მათ esurvey.ge-ს პლატფორმაზე მომზადებული ონლაინ კითხვარი, შემდეგ ორი შეხსენება კითხვარის შევსების თხოვნით. 56 ადვოკატიდან კითხვარი შეავსო 10-მა ადვოკატმა 20 მარტიდან 10 აპრილამდე პერიოდში.

კვლევის თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში, თებერვალში ჩატარდა ფოკუს ჯგუფები მოსამართლეებთან (3 ჯგუფი), იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროების უფროსებთან (1 ჯგუფი), იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტებთან (1 ჯგუფი) და უფასო იურიდიული დახმარების გამწევი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან (1 ჯგუფი).

ფოკუს ჯგუფები მოსამართლეებთან (3 ჯგუფი). ამ ჯგუფებიდან ერთში სამოქალაქო საქმეებზე მომუშავე მოსამართლეები მონაწილეობდნენ (8 მოსამართლე), მეორეში - ადმინისტრაციულ საქმეებზე მონაწილე (5 მოსამართლე) და მესამე იყო შერეული ჯგუფი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მომუშავე მოსამართლეებისგან (6 მოსამართლე) შედგებოდა. მოსამართლეებთან ფოკუს ჯგუფების ჩატარება შესაძლებელი გახდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) და უზენაესი სასამართლოს დახმარებით. 18-19 თებერვალს ბორჯომში მოეწყო შეხვედრა, რომელშიც იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლები და მოსამართლეები მონაწილეობდნენ. ამ შეხვედრის ფარგლებში, 19 თებერვალს ჩატარდა ფოკუს ჯგუფები.

ფოკუს ჯგუფი იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროების უფროსებთან (1 ჯგუფი) ჩატარდა 13 თებერვალს, მასში იურიდიული დახმარების სამსახურის 8 ბიუროს უფროსი მონაწილეობდა.

ფოკუს ჯგუფი იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტებთან (1 ჯგუფი) ჩატარდა 15 თებერვალს და მასში იურიდიული დახმარების სამსახურის 7 კონსულტანტი მონაწილეობდა.

ფოკუს ჯგუფი უფასო იურიდიული დახმარების გამწევი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან (1 ჯგუფი) ჩატარდა 14 თებერვალს და მასში არასამთავრობო ორგანიზაციების 6 წარმომადგენელი მონაწილეობდა. წარმოდგენილნი იყვნენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები: ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, კონსტიტუციის 42-ე მუხლი.

დანართი 2 - გამოკითხვის სიხშირის ცხრილები

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მომუშავე მოსამართლეების თვითადმინისტრირებადი გამოკითხვა

რამდენად ხშირად იყენებთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლს და მიმართავთ „იურიდიული დახმარების სამსახურს“?

	რაოდენობა	%
ძალიან ხშირად	1	2.9
ხშირად	5	14.7
საშუალოდ	8	23.5
იშვიათად	14	41.2
არასდროს	6	17.6
ჯამი	34	100.0

რამდენად ხშირად გქონიათ ისეთი შემთხვევები, როდესაც ხედავდით საქმეში „იურიდიული დახმარების სამსახურის“ ადვოკატის ჩართვის საჭიროებას, თუმცა 23¹ მუხლის შეზღუდვების გამო, ვერ გამოიყენეთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლი?

	რაოდენობა	%
ძალიან ხშირად	2	6.3
ხშირად	3	9.4
საშუალოდ	8	25.0
იშვიათად	15	46.9
არასდროს	4	12.5
ჯამი	32	100.0

თქვენი აზრით, ვინ მოიაზრება გადახდისუუნარო პირად?

	რაოდენობა	%
პირი, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში ნებისმიერი სარეიტინგო ქულით	13	38.2
პირი, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 70 000-დან 100 000-მდე	8	23.5
ნებისმიერი პირი, რომელიც განაცხადებს, რომ სოციალურად დაუცველია	6	17.6
სხვა	11	32.4

თქვენი გამოცდილებით, რომელი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლებრივი საკითხებია ყველაზე აქტუალური გადახდისუუნარო პირებისთვის? (ჩამოწერეთ მაქსიმუმ 5 საკითხი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ) (%)

	1	2	3	4	5
მემკვიდრეობითი დავები	10.3	3.7	9.5	5.9	-
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები	3.4	3.7	4.8	11.8	-
დელიქტურ ვალდებულებებთან დაკავშირებული საკითხები	-	-	9.5	5.9	7.7
ოჯახური დავები	6.9	3.7	4.8	5.9	-
ოჯახური ძალადობის საქმეები	-	3.7	9.5	-	7.7
საკუთრებასთან დაკავშირებული დავები	3.4	11.1	-	5.9	-
შრომითი სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საკითხები	6.9	7.4	-	5.9	-
ვალდებულებითი სამართლებრივი დავები	6.9	7.4	-	5.9	-
ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის თაობაზე	-	-	4.8	5.9	7.7
სოციალური საკითხები	10.3	-	-	-	7.7
სამეზობლო დავები	3.4	3.7	4.8	5.9	-
ფულადი ვალდებულებებიდან გამომდინარე დავები	-	-	-	-	15.4
ნასყიდობა	-	-	-	5.9	7.7
მიწის დავები	-	3.7	9.5	-	-
მხარდაჭერის მიმღებ პირადი ცნობის საკითხზე	3.4	-	-	-	7.7
ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოებთან	3.4	7.4	-	-	-
უდავო წარმოება	-	-	9.5	-	-
სხვადასხვა სახის კომპენსაციის მიღების საკითხი	3.4	-	-	5.9	-
სააღსრულებო დავები	3.4	-	-	5.9	-
ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობასთან დაკავშირებული საკითხები	-	3.7	4.8	-	-
სესხის დავებთან დაკავშირებით	3.4	-	4.8	-	-
ბანკებთან და საკრედიტო დაწესებულებებთან ურთიერთობები	-	-	-	-	7.7
იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენასთან დაკავშირებით	-	-	-	-	7.7
საზიარო უფლებები	3.4	3.7	-	-	-
საჯარო რეესტრთან დაკავშირებული დავები	-	-	-	5.9	-
სამედიცინო ხასიათის დავები	-	-	4.8	-	-
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები	-	-	4.8	-	-
საპენსიო დავები	-	-	4.8	-	-
არასრულწლოვანის ინტერესების დაცვასთან დაკავშირებული დავები	-	3.7	-	-	-
კომპენსაციების და ვეტერანის სტატუსთან დაკავშირებული დავები	-	3.7	-	-	-
დეენილებთან დაკავშირებული საკითხები	-	3.7	-	-	-
საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები	-	3.7	-	-	-

	1	2	3	4	5
საკრედიტო ორგანიზაციებთან ურთიერთობა	-	3.7	-	-	-
სანივთო დავები	-	3.7	-	-	-
ვინდიკაციასთან დაკავშირებული დავები	-	3.7	-	-	-
გამოსახლებასთან დაკავშირებული დავები	-	3.7	-	-	-
სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრაციაზე უარის გამო დავები	3.4	-	-	-	-
სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხები	3.4	-	-	-	-
თანხის დაკისრებასთან დაკავშირებული დავები	3.4	-	-	-	-
პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებასთან დაკავშირებული საკითხები	3.4	-	-	-	-
საბანკო კრედიტების შესახებ დავები	3.4	-	-	-	-
არ ვიცი/უარი	10.3	11.1	9.5	17.6	23.1

თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა უფასო იურიდიული დახმარების ფარგლების გაფართოება გადახდისუუნარო პირებისთვის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე?

	რაოდენობა	%
დიახ	32	97.0
არა	1	3.0
ჯამი	33	100.0

თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა დამატებითი საკანონმდებლო ცვლილებები იმისთვის, რომ სრულად დაკმაყოფილდეს გადახდისუუნარო პირების საჭიროებები სამართლებრივი დაცვის კუთხით?

	რაოდენობა	%
დიახ	22	68.8
არა	4	12.5
არ ვიცი/უარი	6	18.8
ჯამი	32	100.0

იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლების ონლაინ გამოკითხვა

თქვენი აზრით, რამდენად აკმაყოფილებს გადახდისუნარო პირების საჭიროებებს ის სერვისები, რომლებსაც დღეისთვის იურიდიული დახმარების გამწევი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში?

	რაოდენობა	%
სრულად აკმაყოფილებს	3	5.0
ნაწილობრივ აკმაყოფილებს	50	83.3
ნაწილობრივ ვერ აკმაყოფილებს	5	8.3
საერთოდ ვერ აკმაყოფილებს	1	1.7
არ ვიცი/უარი	1	1.7
ჯამი	60	100.0

რამდენად ხშირად გიწევთ საგამონაკისო კრიტერიუმების გამოყენება იურიდიული მომსახურების გაწევის მიზნით სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე?

	რაოდენობა	%
ძალიან ხშირად	-	-
ხშირად	5	8.3
საშუალოდ	23	38.3
იშვიათად	27	45.0
არასდროს	2	3.3
არ ვიცი/უარი	3	5.0
ჯამი	60	100.0

რამდენად ხშირად გქონიათ ისეთი შემთხვევები, როდესაც მოქალაქეებმა მოგმართეს იურიდიული დახმარებისთვის, თუმცა, 23¹ მუხლის შეზღუდვების გამო, ვერ გაუწიეთ შესაბამისი იურიდიული დახმარება?

	რაოდენობა	%
ძალიან ხშირად	4	6.7
ხშირად	10	16.7
საშუალოდ	22	36.7
იშვიათად	15	25.0
არასდროს	3	5.0
არ ვიცი/უარი	6	10.0
ჯამი	60	100.0

რა იყო ამ შემთხვევებში დავის ტიპი? (მონიშნეთ სამი ყველაზე ხშირი საქმის ტიპი) (%)

	1	2	3
სახელმწიფო	20.8	6.3	11.4
ადმინისტრაციული	2.1	12.5	22.7
სესხებთან დაკავშირებული	10.4	10.4	13.6
სანივთო	8.3	18.8	4.5
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული	12.5	4.2	11.4
ვალდებულებითი	22.9	-	2.3
ზიანის ანაზღაურება	6.3	6.3	4.5
საკუთრების ხელყოფა	2.1	6.3	4.5
სამეზობლო	2.1	6.3	2.3
მიწის რეგისტრაცია	-	4.2	4.5
შრომითი დავა	2.1	4.2	2.3
ქონებრივი	-	4.2	2.3
ადმინისტრაციული სამართალდარღვევა	2.1	4.2	-
უკანონო ხელშეშლის აღკვეთა	-	-	4.5
განქორწინება/ალიმენტი	-	2.1	2.3
სამემკვიდრეო	-	2.1	2.3
სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება	-	-	2.3
სამოქალაქო	-	-	2.3
მხარდამჭერის მიმღებად ცნობა	2.1	-	-
სამეწარმეო	2.1	-	-
სოციალური საკითხები	2.1	-	-
ბავშვის საცხოვრებლის ადგილის განსაზღვრა	2.1	-	-
სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება	-	2.1	-
იურიდიული ფაქტის დადგენა	-	2.1	-
საოჯახო	-	2.1	-
მშობლის უფლების შეზღუდვა	-	2.1	-

ყველაზე ხშირად რომელი კრიტერიუმის დაუკმაყოფილებლობის გამო გიწევთ უარის თქმა მოქალაქეებისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევაზე?

	რაოდენობა	%
გადახდისუნარიანობის სტატუსი	33	55.0
საქმის სირთულე და მნიშვნელობა	1	1.7
კანონით გათვალისწინებული საქმის ტიპები	22	36.7
არ ვიცი/უარი	4	6.7
ჯამი	60	100.0

რამდენად ხშირად გქონიათ ისეთი შემთხვევები, როდესაც მოსამართლის განჩინება ადვოკატის დანიშვნის თაობაზე ვერ აღსრულდა 23¹ მუხლის შეზღუდვების გამო?

	რაოდენობა	%
ძალიან ხშირად	-	-
ხშირად	-	-
საშუალოდ	-	-
იშვიათად	5	8.3
არასდროს	37	61.7
(არ ვიცი/უარი)	18	30.0
ჯამი	60	100.0

ყველაზე ხშირად რომელი კრიტერიუმის დაუკმაყოფილებლობის გამო გიწევთ უარის თქმა მოსამართლის განჩინებაზე ადვოკატის დანიშვნის თაობაზე?

	რაოდენობა	%
გადახდისუნარიობის სტატუსი	12	20.0
საქმის სირთულე და მნიშვნელობა	1	1.7
კანონით გათვალისწინებული საქმის ტიპები	10	16.7
ჯამი	60	100.0

თქვენი გამოცდილებით, რომელი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლებრივი საკითხებია ყველაზე აქტუალური გადახდისუუნარო პირებისთვის? (ჩამოწერეთ მაქსიმუმ 5 საკითხი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ) (%)

	1	2	3	4	5
ადმინისტრაციული	6.7	8.6	6.7	6.7	8.3
სახელმწიფო	11.7	6.9	5.0	6.7	
სესხებთან დაკავშირებული	8.3	5.2	10.0	5.0	1.7
სანივთო	6.7	10.3	3.3	3.3	3.3
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული	6.7	3.4	10.0	3.3	3.3
ზიანის ანაზღაურება	1.7	5.2	8.3	6.7	1.7
ვალდებულებითი	11.7	10.3			
სოციალური	8.3	5.2	6.7	1.7	
სამეზობლო	1.7	5.2	3.3	5.0	5.0
ქონებრივი		8.6	5.0	1.7	1.7
შრომითი დავები	3.3	5.2	1.7		3.3
საოჯახო	6.7	1.7	1.7	1.7	
სამემკვიდრეო		3.4	1.7		5.0
საკუთრების ხელყოფა	5.0	3.4			
ადმინისტრაციული სამართალდარღვევები	3.3	1.7	1.7		1.7
განქორწინება/ალიმენტი	5.0	1.7			
მიწის რეგისტრაცია	1.7		3.3	1.7	
უსაფუძვლო გამდიდრება			1.7		5.0
საკუთრების რეგისტრაცია				6.7	
უკანონო ხელშეშლის აღკვეთა	1.7	1.7		1.7	
იურიდიული მნიშვნელობის ფაქტები		1.7		3.3	
სამისდღემოდ რჩენის ხელმეკრულება			1.7		3.3
გარიგების ბათილობა			1.7	1.7	
სამოქალაქო აქტები			3.3		
საპენსიო		1.7			
პრივატიზაციასთან დაკავშირებული		1.7			
ქონების ყადაღისგან გათავისუფლება	1.7				
ჩუქების გაუქმება	1.7				
არასრულწლოვან ბავშვებთან დაკავშირებული			1.7		
სააღსრულებლო				1.7	
დევენილის სტატუსიდან გამომდინარე					1.7
რეპრესიული პირის კომპენსაცია					1.7
ოჯახში ძალადობა					1.7
არ ვიცი/უარი	6.7	6.9	8.3	6.7	6.7
მეტი საკითხი აღარ დასახელებულა			13.3	35.0	45.0

თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა უფასო იურიდიული დახმარების ფარგლების გაფართოება გადახდისუუნარო პირებისთვის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე?

	რაოდენობა	%
დიახ	56	93.3
არა	3	5.0
არ ვიცი/უარი	1	1.7
ჯამი	60	100.0

სამოქალაქო სამართლის რომელ საკითხებზე გააფართოებდით უფასო იურიდიული დახმარების ფარგლებს? (ჩამოწერეთ მაქსიმუმ 5 საკითხი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ) (%)

	1	2	3	4	5
სახელმწიკრულებო	14.3	19.6	7.1	7.1	3.6
სანივთო	19.6	10.7	7.1		
ზიანის ანაზღაურება	3.6	1.8	10.7	12.5	1.8
ვალდებულებითი	12.5	12.5	3.6	1.8	
სესხებთან დაკავშირებული	3.6	5.4	7.1		5.4
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული	10.7	1.8	3.6	1.8	3.6
სამეზობლო	1.8	3.6		5.4	1.8
საკუთრების ხელყოფა	7.1	1.8		1.8	1.8
უკანონო ხელშეშლის აღკვეთა	3.6	3.6	3.6		
ადმინისტრაციული სამართალდარღვევები		5	1.8	1.8	
შრომითი	3.6	3.6			
ქონებრივი	3.6	1.8			
უსაფუძვლო გამდიდრება		1.8			3.6
მიწის რეგისტრაცია	1.8	1.8			
იურიდიული მნიშვნელობის ფაქტები			3.6		
სამისდღეშიო რჩენის ხელმეკრულება				1.8	1.8
აუქციონის ჩატარების წესები	1.8				
სააღსრულებო		1.8			
სამოქალაქო აქტები			1.8		
არ ვიცი/უარი	7.1	7.1	7.1	7.1	8.9

თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა დამატებითი საკანონმდებლო ცვლილებები იმისთვის, რომ სრულად დაკმაყოფილდეს გადახდისუუნარო პირების საჭიროებები სამართლებრივი დაცვის კუთხით?

	რაოდენობა	%
დიახ	44	73.3
არა	8	13.3
არ ვიცი/უარი	8	13.3
ჯამი	60	100.0

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ონლაინ გამოკითხვა

თქვენი აზრით, რამდენად აკმაყოფილებს გადახდისუნარო პირების საჭიროებებს ის სერვისები, რომლებსაც დღეისთვის იურიდიული დახმარების გამწვევი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში?

	რაოდენობა	%
სრულად აკმაყოფილებს	1	10.0
ნაწილობრივ აკმაყოფილებს	8	80.0
ნაწილობრივ ვერ აკმაყოფილებს	1	10.0
საერთოდ ვერ აკმაყოფილებს	-	-
ჯამი	10	100.0

რამდენად ხშირად ამისამართებთ მოქალაქეებს სახელმწიფოს იურიდიული დახმარების სამსახურში სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე?

	რაოდენობა	%
ძალიან ხშირად	-	-
ხშირად	1	10.0
საშუალოდ	5	50.0
იშვიათად	4	40.0
ჯამი	10	100.0

რამდენად ხშირად გქონიათ ისეთი შემთხვევები, როდესაც ხედავდით საქმეში „იურიდიული დახმარების სამსახურის“ ადვოკატის ჩართვის საჭიროებას, თუმცა 23/1 მუხლის შეზღუდვების გამო, ვერ გადაამისამართეთ მოქალაქე იურიდიული დახმარების სამსახურში?

	რაოდენობა	%
ძალიან ხშირად	1	10.0
ხშირად	1	10.0
საშუალოდ	3	30.0
იშვიათად	1	10.0
არასდროს	1	10.0
არ ვიცი/უარი	3	30.0
ჯამი	10	100.0

რა იყო ამ შემთხვევებში დავის ტიპი?

	1	2	3
საოჯახო	33.3		33.3
სამეზობლო	33.3		33.3
სოციალურად დაუცველ მდგომარეობასთან დაკავშირებული	33.3		
საკუთრების		33.3	
ზიანის ანაზღაურება		33.3	
სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული			33.3
სამემკვიდრეო		33.3	
არ ვიცი/უარი პასუხზე	33.3	33.3	33.3

თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა უფასო იურიდიული დახმარების ფარგლების გაფართოება გადახდისუუნარო პირებისთვის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე?

	რაოდენობა	%
დიახ	7	70.0
არა		
არ ვიცი/უარი	3	30.0
ჯამი	10	100.0

თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა დამატებითი საკანონმდებლო ცვლილებები იმისთვის, რომ სრულად დაკმაყოფილდეს გადახდისუუნარო პირების საჭიროებები სამართლებრივი დაცვის კუთხით?

	რაოდენობა	%
დიახ	5	50.0
არა	-	-
არ ვიცი/უარი	5	50.0
ჯამი	10	100.0

თუ დიახ, რა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას თვლით საჭიროდ ამ კუთხით?

	რაოდენობა	%
გადახდისუნარიობა და საქმის პერსპექტივები მომსახურების მისაღებად საკმარისი კრიტერიუმები უნდა იყოს	1	20.0
სამოქალაქო კოდექსი	1	20.0
კრიტერიუმის საკითხები, რა უნდა იყოს ძირითადი საკითხი საქმის შერჩევისას და ვის უნდა დაეხმარონ	1	20.0
არ ვიცი/უარი პასუხზე	2	40.0
ჯამი	5	100.0